



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030412526866317

№ 04-789/ო

31 / ოქტომბერი / 2017 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების წარმოდგენის ღონისძიებათა თაობაზე

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებაში (შემდგომში – დადგენილება) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N486 დადგენილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ადმინისტრირების რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017 წლის 1 ნოემბრიდან, პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების რეგისტრირებული მიმწოდებლების მიერ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების, დადგენილების N1.2 დანართით განსაზღვრული გადაუდებელი მდგომარეობების და დანართი №1.3-ის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის (იმ სამედიცინო დაწესებულებებისთვის, რომელიც არ მონაწილეობენ „ინფექციური დაავადებების მართვის“ სახელმწიფო პროგრამაში) შემთხვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით, განხორციელდეს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ხელოვნური კოდების შესაბამისად.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, სააგენტოს დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მალაქელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები):

ა) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ (N04-92/ო, 2015 წლის 31 მარტი);

ბ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ (N04-420/ო, 2015 წლის 20 ნოემბერი);

გ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი მდგომარეობების (გარდა გადაუდებელი თერაპიისა) მომსახურებისთვის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ (N04-153/ო, 2016 წლის 31 მარტი);

დ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებათა თაობაზე“ (N04-72/ო, 2013 წლის 27 თებერვალი).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე